ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" №175/ბ

„თბილისი „ „24 " „ 05 " 2018 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1 ერთის მხრივ, **სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"** (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მერი მაღლაფერიძის სახით და მეორეს მხრივ **შპს „ავერსი–ფარმა"**(შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი კომერციული დირექტორის ეკატერინე მიქელაძის (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი171497052 ინდივიდუალური ნომერი 33007688809817) სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 შემსყიდველმაგანახორციელა„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"საქართველოს კანონის მე–10¹მუხლის მე–3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 1 მარტის N479 განკარგულების საფუძველზე გამარტივებული შესყიდვა, შემსყიდველისათვის საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში (კოდი-35 02 05) შემსყიდველის ტერიტორიული ერთეულის მარტყოფის შშმპ პანსიონატის ბენეფიციარის საჭიროებისათვის მედიკამენტების (შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება – ფარმაცევტული პროდუქტები – 33600000; დეტალური CPV- 33651100– სისტემური გამოყენების ანტიბაქტერიული საშუალებები.) შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი **117.84** (ასჩვიდმეტი ლარი და ოთხმოცდაოთხი თეთრი) ლარად (შემდგომში `ხელშეკრულების ღირებულება~).

2.2 ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი გადასახადი და მოსაკრებელი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. შესყიდვის ობიექტის დასახელება, მახასიათებლები, რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება განისაზღვრება ხელშეკრულების დანართი #1–ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.2. „მიმწოდებლის" მიერ ფაქტიურად მიწოდებულ საქონელზე ვარგისიანობის ვადა უნდა იყოს საქონლის მიწოდებიდან არანაკლები 3 თვისა.

4. საქონლის მიწოდების პირობები და ვადები

4.1.საქონლის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის უფროსის მიერ საქონლის მოთხოვნიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში. შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის მოთხოვნის წარდგენა განხორციელდეს არაუგვიანეს 2018 წლის 30 მაისისა.

4.2.მიწოდების ადგილია **ქ.თბილისი, კოსტავას ქ. #11, (შპს „ავერსი-ფარმას" აფთიაქი),** სადაც საქონლის მიწოდებით შემსყიდველზე გადადის 5.1 პუნქტით გათვალისწინებული საკუთრების უფლება.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1.საქონელი ჩაითვლება მიღებულად შესაბამისი სასაქონლო ზედნადებისა და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის შესაბამისად. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის შემსყიდველს, რომელიც პასუხისმგებელია შესაძლო რისკებზე - საქონლის შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) განადგურებაზე , გაფუჭებაზე ან რაიმე ზიანზე.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

6.2 ფაქტიურად მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ერთჯერადად, ხელშეკრულების 5.1. პუნქტში მითითებულ დოკუმენტებისა და 15.1. პუნქტში აღნიშნული პირის მიერ შედგენილი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.

6.3 შემსყიდველი უზრუნველყოფს მიმწოდებლის დაფინანსებას ხელშეკრულების 6.2 პუნქტში აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1.1 შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და პირობებში და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.2 მიაწოდოს ინფორმაცია საკუთარი საფთიაქო ქსელის შესაბამის აფთიაქს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესახებ.

7.1.3 მიაწოდოს „შემსყიდველს" უფლებრივად და წივთობრივად უნაკლო საქონელი;

7.1.4 გაუწიოს შემსყიდველის წარმომადგენელს კონსულტაცია მედიკამენტების მოხმარების წესებზეც.

7.1.5 კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.6 დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

7.1.7 შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი, რომლის ვარგისიანობის ვადა უნდა იყოს საქონლის მიწოდებიდან არანაკლები 3 თვისა.

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის" დროული და სრული დაფინანსება.

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2 ,,შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

8.2.2. უარი განაცხადოს უხარისხო საქონლის მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობ(ებ)ის არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) მეორე მხარე უფლებამოსილია დამრღვევ მხარეს მოთხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების (გადასახდელი თანხის) 0,02%–ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%–ის ოდენობით.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობ(ებ)ის არაჯეროვანი შესრულებისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,2%–ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1 მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2 ერთ–ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში;

14.1.3.ხელშეკრულების 13.3. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

14.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

15. ინსპექტირების პირობები

15.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირები.

15.2 წინამდებარე ხელშეკრულების 15.1. პუნქტით გათვალისწინებული პირ(ებ)ის ფუნქციებია:

15.2.1 მიწოდებული საქონლის მოცულობის,ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა; ინსპექტირების დასკვნისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

15.2.2 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 4 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, სამი ეგზემპლარი - შემსყიდველთან.

„შემსყიდველი"

სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"

ქ. თბილისი თამარაშვილის 15ა

სახელმწიფო ხაზინა

კოდი № TRESGE22

ა/ა №GE24NB0330100200165022

ს/კ № 205169592

მერი მაღლაფერიძე

დირექტორი

„მიმწოდებელი"

შპს „ავერსი–ფარმა"

ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ.#148

ს/ს „საქართველოს ბანკი"

ცენტრალური ფილიალი

კოდი № BAGAGE22

ა/ა № GE06BG0000000122932100

ს/კ № 211386695

ეკატერინე მიქელაძე

კომერციული დირექტორი

დანართი1

#	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	მიწოდების ადგილი
1	მინისებური სხეული 2მლ #10 ა	კოლოფი	2	10.45	20.9	ქ.თბილისი, კოსტავას ქ. #11
2	ტრიბესტანი 250 მგ #60ტ	კოლოფი	1	61,99	61,99	
3	ჰარტოვინი #30 კაფს	კოლოფი	1	34,95	34.95	

სულ:117.84 ლარი

„შემსყიდველი“

სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“

მერი მალლაფერიძე
დირექტორი

„მიმწოდებელი“

შპს „ავერსი-ფარმა“

ეკატერინე ბიქელაძე
კომერციული დირექტორი